# ფინედუს ამბები

**გამოშვება #02**

საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმა
www.finedu.gov.ge-ს ყოველკვარტალური გამოშვება

8 ივლისი, 2026
II კვარტალი

## მთავარი ამბავი

### #შენიფინანსურითამაში - ფინანსური ფეხბურთი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და საერთაშორისო გადახდების სისტემა Visa-მ ფინანსური განათლების ინტერაქციული თამაში "ფინანსური ფეხბურთი" წარადგინეს.

ინოვაციური ვებპლატფორმა აერთიანებს ერთი მხრივ, ფეხბურთის სტრატეგიას, დინამიკას და მეორე მხრივ, ფინანსური ცოდნის მიღებასა და მის პრაქტიკაში გამოყენებას.

› ვრცლად



## II კვარტალი რიცხვებში

| 534,487 | 24,976 | 12,016 | 33,963 |
|---|---|---|---|
| ფეისბუქგვერდის უნიკალური მომხმარებელი | არაპირდაპირი ბენეფიციარი | პირდაპირი ბენეფიციარი | ვებ-გვერდის უნიკალური მომხმარებელი |

## სხვა ამბები






### ფულის გლობალური კვირეული 2026

2026 წლის ფულის გლობალური კვირეულისადმი მიძღვნილი ცნობიერების ასამაღლებელი კამპანია 2 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და შთამბეჭდავი შედეგებით დასრულდა.

- 8,000-მდე მოსწავლე 241 სკოლის 334 კლასიდან – პროექტი „მოიწვიე ფინედუ კლასში“
- 53 მასწავლებელი და 1,323 მოსწავლე – პროექტი „გახდი ფინედუს მასწავლებელი“
- 451 ნამუშევარი – კონკურსი „ჩემი რეგიონი - ჩემი ბანკნოტი“
- 213 ნამუშევარი – კონკურსი „ისაუბრე ფულზე - ისაუბრე კიბერუსაფრთხოებაზე“
- 450 მოსწავლე – ფინანსური განათლების სპექტაკლი "წინ და წინ - ფინანსობანა" ხულოს, ონისა და მესტიის მუნიციპალიტეტებში
- 26 შეხვედრა, 529 მოსწავლე, 47 მასწავლებელი – პროექტი "ფინანსური განათლების სასკოლო კლუბები ეროვნულ ბანკში"

› ვრცლად

## მასწავლებლების მხარდაჭერა

ფინანსური განათლების ეროვნული ჯილდოს მოსაპოვებლად საკონკურსო განაცხადების მიღება 15 ივნისს დასრულდა. კონკურსის ფინალისტები და ეროვნული ჯილდოს მფლობელი მასწავლებელი სექტემბერში გამოვლინდება.

› ვრცლად

ფინედუზე ტრენინგკურსების ფარგლებში ქუთაისსა და თელავში 35 მასწავლებელი გადამზადდა. მასწავლებლები საკუთარ სკოლებში VII-IX კლასის მოსწავლეებს თამაშით სწავლების მეთოდზე დაფუძნებულ გაკვეთილებს ჩაუტარებენ.

› ვრცლად

“მოქალაქეობის” 53-მა მასწავლებელმა კი ცოდნა იმ ფინანსურ და ეკონომიკურ საკითხებზე აიმაღლა, რომელიც საკუთარი საგნის სწავლებისას იქნება გამოსადეგი.

› ვრცლად






## "ფინედუს კუთხე ბიბლიოთეკაში"

ტრადიციულად, 23 აპრილს, წიგნისა და საავტორო უფლებების საერთაშორისო დღეს, ფინედუზე გამოცხადდა კონკურსი. კონკურსის 30 გამარჯვებული გამოვლინდა საქართველოს 6 ქალაქისა და 17 სოფლიდან.

- I ეტაპი, კონკურსი - კონკურსანტებმა ფინანსური განათლების ამაღლების მიზნით დაგეგმეს და გამოაგზავნეს საგანმანათლებლო აქტივობები.
- II ეტაპი, აქტივობების განხორციელება - გამარჯვებულები დაგეგმილ აქტივობებს წლის ბოლომდე განხორციელებენ, მათ შორის, მიღებული ფინედუს მასალების გამოყენებით.

› **ვრცლად**

## ვიდეორესურსები მეწარმეებისთვის

- როგორ შევარჩიოთ ბიზნესისთვის შესაფერისი ფინანსური პროდუქტი?
- რას უნდა მივაქციოთ ყურადღება ბიზნესსესხის აღებისას?
- როგორ ვმართოთ სავალუტო რისკები?
- რა შესაძლებლობებს გვთავაზობს ღია ბანკინგი?

ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე საქართველოს ეროვნული ბანკის ფინანსური განათლების პლატფორმა ფინედუმ, პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობით, ახალი საგანმანათლებლო ვიდეოების სერია მოამზადა.

› **ვრცლად**






## „ფინედუს ტრენერი“ - შემაჯამებელი შეხვედრა

საქართველოს ეროვნულ ბანკში პროექტ "ფინედუს ტრენერის" საპილოტე ეტაპის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის ფარგლებში მონაწილეებმა შეაჯამეს პროექტის ფარგლებში მიღწეული შედეგები, განიხილეს განხორციელებული აქტივობები, მონაწილეთა უკუკავშირი და პროექტის გავრცელების შეფასების ძირითადი მიგნებები.

› **ვრცლად**

## იცოდი თუ არა, რომ?

დაზოგვის ე.წ. „52-კვირიანი“ მეთოდი, რომელიც გულისხმობს პირველ კვირას 1 ლარის, მეორე კვირას 2 ლარის, მესამე კვირას 3 ლარის და ა.შ. 52-ე კვირას 52 ლარის დაზოგვას, წელიწადში 1,378 ლარს დაგაზოგინებთ და, დამატებით, დაზოგვის ჩვევასაც გამოგამუშავებინებთ.

finedu.gov.ge

## არ გამოგრჩეთ

გაეცანით ახალ ინტერაქციულ თამაშს „ფინანსური ფეხბურთი“ შეუერთდით მოთამაშეებს და გადააქციეთ ფინანსური ცოდნა გამარჯვების სტრატეგიად!
თამაშის დასაწყებად ეწვიეთ ბმულს › https://financialfootball.com/ka



## საქართველო და მსოფლიო

2025 წელს სავაჭრო-მომსახურების ობიექტებში პოს-ტერმინალების გამოყენებით შესრულებული საბარათე გადახდების თანხის 95% და raodenobis 97% უკონტაქტო საბარათე გადახდები იყო, რაც მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი საუკეთესო მაჩვენებელია.





## ხშირი კითხვა ფინედუზე

### როგორ ხდება სესხის ხანდაზმულად აღიარება?

სესხის შემთხვევაში ხანდაზმულობა არის პერიოდი, რომლის გასვლის შემდეგაც კრედიტორის აღარ შეუძლია მსესხებლისგან მოითხოვოს სესხის გადახდა. სესხის ხანდაზმულობის ვადა მინიმუმ 3 წელია და დამოკიდებულია არაერთ ფაქტორზე, ამიტომ სასესხო მოთხოვნას ხანდაზმულად **აღიარებს მხოლოდ სასამართლო** და მხოლოდ გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ ის ავტომატურად ხანდაზმულად ვერ ჩაითვლება.



› ვრცლად



## რჩევა ციფრული უსაფრთხოებისთვის

იმისათვის, რომ თავიდან აიცილოთ თქვენი საბარათე ანგარიშიდან თანხის დაუკითხავად გახარჯვა, გირჩევთ, არასოდეს გაუზიაროთ მესამე პირებს საგადახდო ბარათზე დატანილი ინფორმაცია:

- ✓ ბარათის ნომერი (როგორც წესი, 15 ან 16 ციფრი). აქვე გაითვალისწინეთ, რომ ეს არაა ანგარიშის ნომერი და თანხის ჩასარიცხად მისი მოთხოვნა თაღლითობის რისკს უკავშირდება;
- ✓ ბარათის მოქმედების ვადა (თვე/წელი);
- ✓ ბარათის წინა ან უკანა მხარეს მითითებული უსაფრთხოების 3 ან 4-ნიშნა კოდი (CVV / CVC).

## მნიშვნელოვანი თარიღები - III კვ.2026

**12 აგვ.** ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე

**9 სექ.** ფინედუს დაბადების დღე და მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს გამარჯვებულის გამოვლენა



# ფინედუს ამბები

info@finedu.gov.ge +032 2 406 406 www.finedu.gov.ge